

ნინო ეჭიბაძე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.ejibadze@tsu.ge

ამორფული *al-hā'* არაბულში

რეზიუმე

ცნობილია, რომ არაბულში არის ფონემები, რომელთაც სუსტი თანხმოვნები (*hurūf l-illa¹*) ეწოდება. ისინი, გარდა ფონეტიკური მახასიათებლებისა (ხმოვანთა და თანხმოვანთა თვისებები ერთდროულად) გამოირჩევიან სხვა თანხმოვნებისგან უნარით, საჭიროების შემთხვევაში გაჩნდნენ ან ამოვარდნენ სიტყვის ფორმალური შემადგენლობიდან, ასევე – ჩაენაცვლონ ერთმანეთს ზოგიერთ ფორმაში. ასე იქცევიან თანხმოვნები *w*, *y* და ჰამზა: ჰამზა ჩნდება ნაკლებ ძირთა მასდარებში, რომლებიც თავიდან აღიფთ იწარმოება; სწორის მსგავსი ძირის მქონე ზმნები პირველ ძირისეულ სუსტ თანხმოვანს კარგავენ იმპერფექტივისა და ბრძანებითის ფორმებში; ჰამზა ჩნდება ფლექსიური მრავლობითის ზოგიერთ მოდელში ისეთ სიტყვებში, სადაც ის ძირის შემადგენლობაში არ შედის, და სხვ. მაგრამ არაბულში არის სხვა თანხმოვანიც, რომელიც ამგვარი თვისებებით ხასიათდება. სტატია ეხება ყელისმიერ ყრუ ნაპრალოვან თანხმოვანს *h* (*al-hā'*), რომელიც შეიძლება ადვილად ამოვარდეს სიტყვიდან ან გაჩნდეს მასში (იქ, სადაც ეს არაა განპირობებული თვალსაჩინო გრამატიკული ან სემანტიკური მიზეზით), ასევე – ჩაანაცვლოს ზოგიერთი სხვა თანხმოვანი; ამავდროულად, შესაძლებელია, თავისი დისტინქტური ფუნქციის უგულვებელყოფით სხვა თანხმოვნებთან სუბსტიტუციის შედეგად შექმნას ლექსიკური წყვილი მინიმალური/ნულოვანი განსხვავებით სემანტიკაში. ამასთანავე, ამგვარ – პირობითად, „ამორფულ“ – თვისებებს ეს თანხმოვანი ავლენს როგორც საერთოსემიტური მასშტაბით, ასევე ერთი ენის შიგნით; დიგლოსიურ ვერტიკალსა და ბილინგვურ სიბრტყეში. ამ მახასიათებლებზე დაყრდნობით, წინამდებარე სტატიაში ეს თანხმოვანი კვალიფიცირებულია, როგორც „ამორფული“. საკითხი განხილულია სემიტურ ენათა, უფრო კონკრეტულად კი – სალიტერატურო არაბულისა და არაბული დიალექტების, მონაცემთა ბაზაზე.

საკვანძო სიტყვები: ამორფული, *al-hā'*, არაბული ენა, ფონეტიკა, გრამატიკა.

ყელისმიერო ყრუ ნაპრალოვანი *h* არაბულში რამდენადმე სპეციფიკურ თანხმოვანია: ის შეიძლება ადვილად ჩავარდეს ან გაჩნდეს (სადაც ეს არაა განპირობებული თვალსაჩინო გრამატიკული ან სემანტიკური მიზეზით), ჩაენაცვლოს სხვა თანხმოვანს, ამავდროულად – შესაძლებელია, თავისი დისტინქტური ფუნქციის უგულვებელყოფით სხვა თანხმოვნებთან სუბსტიტუციის შედეგად შექმნას ლექსიკური წყვილი მინიმალური/ნულოვანი განსხვავებით სემანტიკაში. ამასთანავე, ამგვარ – პირობითად, „ამორფულ“ – თვისებებს ეს თანხმოვანი ავლენს როგორც საერთოსემიტური მასშტაბით¹, ასევე ერთი ენის შიგნით; დიგლოსიურ ვერტიკალსა და ბილინგვურ სიბრტყეში.

1. პარალელური ძირები. არაბულში დასტურდება ძირები მინიმალური განსხვავებით (განსხვავებით ერთ ძირისეულ თანხმოვანში), სადაც ერთი-ერთის შემადგენლობაში შედის

¹ მაგ., კ. წერეთელი (Tsereteli 1964, 28) აღნიშნავს, რომ თანხმოვანთა ჩავარდნა შესაძლებელია არტიკულაციის ჩაგდებით სუსტ პოზიციაში, და რომ ' (გლოტალური შემართვა) და *h* ადვილად იკარგება ასირიულის მონათესავე ენებშიც.

al-hā', ხოლო მეორეში – იმავე პოზიციაში არის სხვა თანხმოვანი (ხშირად – *w*, *y*, ' ან *h*), ამასთანავე, ამ ლექსიკური წყვილის მნიშვნელობები იდენტურია, ან განსხვავდება მინიმალურად – ისე, რომ ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში რჩება. ასეთი წყვილები შეიძლება რეალიზდეს ერთი ენის/ერთი დიალექტის შიგნით, ან დიგლოსიის ფარგლებში (ე.ი. სალიტერატურო და დიალექტურ ფორმებს შორის), ან – ბილინგვურ სიბრტყეშიც (სემიტურ ენათა მასშტაბით).

ერთი ენის შიგნით
სალიტერატურო არაბული

'amiya – „იყო ბრმა“, ძირი ' *m y* — 'amah^a – „ბრმად დაეხეტებოდა“, ძირი ' *m h nabba*^a – „გააფრთხილა“, ძირი *n b* ' — nabba^a – „გამოფხიზლა, გამოავლიდა“, ძირი *n b h 'azz*^a – „უბიძგა (ძლიერად)“, ძირი ' *z z* — hazz^a – „უბიძგა (სუსტად)“, ძირი *h z z*²

დიგლოსიურ ჭრილში

სალიტ. ენა

ეგვიპტ. დიალექტი

nadā – „დაუძახა, მოუწოდა“, ძირი *n d w* — nadah – „დაუძახა, მოუწოდა“, ძირი *n d h faqīh*^m – „ფაკიჰი“, ძირი *f q h* — fi'i – „ფაკიჰი“, ძირი *f* ' < *f q*

ბილინგვურ სიბრტყეში

არაბული

ძველი ებრაული

'amat^m – „გამრუდება, სიმრუდე“, ძირი ' *m t* — 'āmēh – „გამრუდება, სიმრუდე“, ძირი ' *m h*

სემიტურ ძირს ახასიათებს სუსტი ძირის გაძლიერებისკენ სწრაფვის ტენდენცია. „სუსტში“ მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება არა მხოლოდ ის მოვლენა, როდესაც ძირი ე.წ. სუსტ თანხმოვნებს (*w*, *y*) შეიცავს, არამედ – გარდა ამისა, ის შემთხვევებიც, როცა ძირი სამზე ნაკლებთანხმოვნიანია, ან – როდესაც ძირი სამ თანხმოვანს შეიცავს, მაგრამ მათგან რომელიმე შედარებით „სუსტია“ სხვა თანხმოვნებთან მიმართებაში. გრანდე აღნიშნავს, რომ, მაგალითად, ჰამზას ძირის შემადგენლობაში ხშირად ანაცვლებენ „უფრო მდგრადი“ თანხმოვნები: ' *k*, *h*, *ḥ* (Grande 1963, 34). აქაც, მოცემული მოვლენის კვალიფიცირება შესაძლებელია, როგორც ძირის მიდრეკილება, სუსტი თანხმოვანი ჩაანაცვლოს უფრო მდგრადი თანხმოვნით. წინამდებარე სტატიაში ზემოთ ან შემდგომში განხილული ზოგიერთი მაგალითი შეიძლება სწორედ ძირის „გაძლიერების“ ტენდენციის ილუსტრირებადაც მივიჩნიოთ (მაგ.: სალიტ. *n d w* > დიალექტ. *n d h*; სალიტერატურო სუსტ, ნაკლებ, ძირს შეესაბამება დიალექტური სწორი სამთანხმოვნიანი).

2. *al-hā'* თანხმოვნის გაჩენა

ა) *al-hā'* თანხმოვნის გაჩენა მოსალოდნელია ზოგიერთ (სუსტ) ძირთან მრავლობითის ფორმაში:

მხოლოდითი მრავლობითი
fam^m – „პირი“, ძირი *f m* — *afwāh*^m / 'afmām^m

როგორც ცნობილია, სიტყვა *fam*^m შედის სახელთა მცირერიცხოვან სპეციფიკურ ჯგუფში, რომელსაც ეწოდება „*al-asmā' l-hamsa*^m“ („ხუთი არსებითი სახელი“). ზოგჯერ ამ ჯგუფში შეჰყავთ მეექვსე სახელიც: *hann*^m – „ნივთი“ (Hamūda 1985, 108). ისინი, როცა სინტაქსურად განისაზღვრებიან, ბრუნებისას გვიჩვენებენ თავისებურებას: -V > -V̄; ხოლო სიტყვა

² ითვლება, რომ ამ, ბოლო, მაგალითში მნიშვნელობათა დისტრიბუცია პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ *h* ჰამზასთან შედარებით სუსტი თანხმოვანია. იხ., მაგ., ყურანი, 19:25: هُرِّيٰ إِلَيْكَ بِجَذْعِ النَّخْلَةِ هَمْنَا huzzi გაიგება, როგორც ფრთხილად შერხევა (პალმის ტოტისა), მაშინ, როდესაც ყურანი 19:83: أَلَمْ نَرَأِ أَنَا أَرْسَلْنَا الشَّيَاطِينَ عَلَى الْكَافِرِينَ تُوَزُّهُمْ أَرَا هَمْنَا ta'uzzuhum გაიგება, როგორც ძლიერად შერხევა (შეითანთა მიერ ცოდვილებისა).

fam^{um} მათ შორისაც სპეციფიკურია, რადგან კარგავს ბოლოკიდურ *-m*-ს (ნომინატივი – *fū*, აკუზატივი – *fā*, გენიტივი – *fī*). საქმე ისაა, რომ ამ სიტყვაში ბოლოკიდური *-m* ძველი სემიტური მიმაცის ნაშთია, ხოლო მიმაცია, ისევე, როგორც ნუნაცია, არის ის მორფი, რომლის ბმა სიტყვის ფუძესთან არაა მყარი, მისი გამოცალკეება ადვილად ხდება; მაგალითად, სუფიქსის დართვისას მიმაცია/ნუნაცია გადაინაცვლებს დართული სუფიქსის შემდგომი პოზიციისკენ, რადგან მან სიტყვის ბოლოკიდური პოზიცია უნდა დაიკავოს; ხოლო თანამედროვე სემიტურში, როგორც კარგადაა ცნობილი, ის საერთოდ დაკარგულია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *f w h* ძირი (დერივატებითურთ *fāh^a* – „წარმოთქვა“, *fūha^{um}* – „პირი; კრატერი“ და სხვ.) გასამთანხმონიანებული, „გამლიერებული“ ვარიანტია *f m* ძირისა, რომელიც, თავის მხრივ < *f*. სხვა მაგალითები:

მხოლობითი	მრავლობითი
<i>šāt^{um}</i> – „ცხვარი, თხა“, ძირი <i>š w ’</i>	— <i>šiyāh^{um}</i> , კრებ. <i>šā^{um}</i>
<i>mā^{um}</i> – „წყალი“, ძირი <i>m w h</i>	— <i>miyāh^{um}</i> , ძირი <i>m w h</i>
<i>šafat^{um}</i> – „ბაგე“, ძირი <i>š f w</i>	— <i>šifāh^{um}</i> / <i>šafawāt^{um}</i>
<i>ist^{um}</i> – „უკანალი, დუნდულები“, ძირი <i>s t</i>	— <i>’astāh^{um}</i> / <i>astāt^{um}</i> (მდრ. <i>afmām^{um}</i>)
<i>’umm^{um}</i> – „დედა“, ძირი <i>’ m m</i>	— <i>’ummahāt^{um}</i> / <i>’ummāt^{um}</i>

ბ) *al-hā’* თანხმონის გაჩენა ძირში შეიძლება განპირობებული იყოს დიაქრონიული პროცესებით. მაგალითად, ფორმებში: *hajar^a*, *haṭal^a*, *haraq^a* და მისთ., თავკიდური *h-* არის კაუზალური მნიშვნელობის მქონე სემიტური *ha-* პრეფიქსის ნაშთი (Grande 1963, 16, 53-54). პრეფიქსი *ha-*, განიცადა რა ნეიტრალიზაცია, შეერწყა ზოგიერთ ძირს. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, ესაა სწორედ ისეთი ძირები, რომლებიც „გამლიერებას“ საჭიროებდნენ:

h j r (ძირის მნიშვნელობა დაკავშირებულია საცხოვრებლად სხვაგან გადასვლასთან) < *j w r* (ძირის მნიშვნელობა დაკავშირებულია მეზობლობასთან; მდრ ძვ. ებრ. *gēr* – „სხვატომელი“). ამოსავალი ძირი სუსტია, ე.წ. ცარიელი, $R_2 = w$.

haṭal^a – „უხვად წვიმდა“ < *ṭall^a* – „ჟინჯლავდა; ასხურებდა“. ამოსავალი ძირი არის ე.წ. გემინირებული, რომელიც არ განიხილება, როგორც სუსტი, რადგან არ შეიცავს ე.წ. სუსტ თანხმონიანს; მაგრამ გემინატს არაბულ ტრადიციაში აღიქვამენ არა როგორც გაორმაგებულ თანხმონიანს (სხვა სიტყვებით, ორ ერთმანეთის იდენტურ თანხმონიანს უშუალო მეზობლობაში), არამედ ერთ გამლიერებულს (*mušaddad^{um}*); შესაბამისად, გარკვეული პირობითობით, შეიძლება ითქვას, რომ ამოსავალი ძირი შეიცავდა ორ თანხმონიანს (რომელთაგან ერთი გამლიერებულია; გემინატის არტიკულირება კი, გულისხმობს დამატებით დაყოვნებას მოცემული, ერთი, თანხმონის წარმოთქმისას, ერთი გრძელი თანხმონის წარმოთქმას (Akhvlediani 2010, 18). ნეიტრალიზებული სემანტიკის პრეფიქსის ძირთან შერწყმამ კი სწორი სამთანხმონიანი ძირი წარმოშვა.

გ) *al-hā’*-ს გაჩენა ორთოეპიაში. ზოგჯერ *h-*ს გაჩენა დასტურდება მხოლოდ ზეპირად, მისი გაჩენისთვის გრამატიკული საფუძველი არ არსებობს, ის არ ფიქსირდება გრაფიკულად (დიალექტებშიც კი, სადაც, ჩვეულებრივ, „ორთოგრაფია“ მაქსიმალურად მისდევს ორთოეპიას):

- lam yajzu(h)* – „არ დასხმია თავს“,
- mal yara(h)* – „არ დაუნახავს“,
- kayfa(h)* – „როგორ“, და მისთ. (Lekiašvili 1977, 59).

ამავე პუნქტში უნდა შევიტანოთ ის შემთხვევა, როდესაც სამეტყველო არაბულში (დიალექტებსა და ე.წ. სტანდარტ ენაში) *tā marbūṭa*-ს დაკარგვის შემდეგ, ხანდახან ითვლება, რომ სიტყვის ბოლოს ისმის *-h*: *maktaba(h)* < *maktaba^{um}* და მისთ. ასეთ *-h*-ს, ე.ი. *-h*-ს, რომელიც გარეგანი ფლექსიის რედუქციის მეორეულ პროდუქტად შეიძლება განვიხილოთ, ფერგიუსონი „ვირტუალურ *h*-ს“ უწოდებს (Ferguson 1997. 115).

დ) *al-hā'* არაბულში ჩნდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამოსავალ ენაში ხმოვნით დაბოლოებული ნასესხობა მრავლობითის (მდედრ. სქ. სწორი მრავლობითის, რომელსაც უცხო სიტყვებთან მიმართებაში ენა ძალიან ხშირად ირჩევს) ფორმითაა წარმოდგენილი:

sīdī – „კომპაქტური დისკი, CD“, მრ. რ. *sidihāt*,

taksi – „ტაქსი“, მრ. რ. *taksihāt*,

kabarē – „კაბარე“, მრ. რ. *kabarehāt*,

bēbi – „ჩვილი, ახალშობილი“, მრ. რ. *bebihāt* და მისთ.

ზოგიერთ ნასესხობაში *al-hā'* გრაფიკაში ჩნდება მხოლოდით რიცხვშიც, თუკი ნასესხები სიტყვა (ორთოეპიაში ან ორთოგრაფიაში) ხმოვნით ბოლოვდება:

bālēh (باليه) – „ბალეტი“,

bakalūriyah (بكالوريوس) – „ბაკალავრიატი“ და სხვ.

„ძე“-ზე დამთავრებული ქართული გვარებიც აქვე შეიძლება გავიხსენოთ, ისინი ჩაიწერება ბოლოვიდური *h*-თი: *აჟა*.

ე) *al-hā'*-ს გაჩენის სხვა შემთხვევა: სალიტერატურო ენაში *ra'ā* („დაინახა“) ზმნის ბრძანებითში გვაქვს ვარიანტები *ra* (ر) და *rah* (رة), მეორე ვარიანტი შეიძლება აიხსნას ორმაგად სუსტი ძირის „გაძლიერების“ ტენდენციით (იხ. ზემოთ).

3. *al-hā'*-ს ჩავარდნა (დაკარგვა)

ა) *al-hā'*-ს ჩავარდნა ხდება ორთოეპიაში, როდესაც *h* თანხმოვანი უბრალოდ არ ისმის/ცულად ისმის ზეპირ მეტყველებაში, მაგალითად, ღია ხმოვნის შემდგომ, მაგრამ გრაფიკულად ის ფიქსირდება:

mušā(h)idīn < *mušāhidūn*^ა – „მაცურებლები“,

ma(h)labēya < *mahlabiyya* – „მაკლავია“ (ტკბილეულის სახეობა). ამ შემთხვევაში, *h*-ს რედუქციას შეიძლება არ მივცეთ სრული ჩავარდნის კვალიფიკაცია, რადგან მისი რედუქცია წინა ხმოვნის დაგრძელებითააა გამოხატული: *mālabēya*.

სხვა მაგალითი: *أهل* > *آل* „ოჯახი“. მოკლე ვარიანტი ამოსავალ სრულ ვარიანტთან მიმართებაში დავიწროებული სემანტიკითაა ენაში დამკვიდრებული: *'āl*^ა უმეტესად მუჰამადის ოჯახს მიემართება, ხოლო ამოსავალი *'ahl*^ა – ოჯახს ზოგადად. ამრიგად, *h* ამ წყვილში ერთგვარ დისტინქტურ ფუნქციას ასრულებს (შდრ.: *'ill*^ა – „ნათესაობა; ურთიერთდაცვის შეთანხმება“).

ბ) *al-hā'*-ს სრული ჩავარდნა, როდესაც ის საერთოდ ამოვარდება სიტყვიდან და აღარც გრაფიკაში დასტურდება. აქ იკვეთება შემდეგი შემთხვევები:

• ჩვენებით ნაცვალსახელთა დიალექტური *da* და *di* ფორმები სალიტერატურო *hādā* და *hādīhi* ფორმების პირისპირ, სადაც პრეფიქსი *hā-* მნიშვნელობის ინტენსივიზაციას ემსახურება (შდრ ნაბატეურ-არაბული ხანის წარწერების მონაცემებს, სადაც ჩვენებითი ნაცვალსახელები *tī* (ან-ნამარას წარწერა; Bellamy 1985, 34), *da(+nu)* (უმე ჯიმალის წარწერა; Littmann 1914, 37-38) ფორმებითაა დაცული).

al-hā' ჩავარდნილია ასეთ სიტყვაშიც: *'idah*^ა, მრ. *'idūna* – „ტყუილი“. ეს მაგალითი საინტერესოა იმიტომაც, რომ *-ūna* მრავლობითი აქვს უსულო არსებით სახელს და არა სულიერს, რეალური მამრობითი სქესისა, როგორც ეს არაბულში ნორმაა; ეს ფორმა კავშირშია მრავლობითის იმ ვარიანტთან, რომელიც ცრუ ორობითის სახელწოდებითაა ცნობილი (ცრუ ორობითის შესახებ იხ. Blanc 1970, 42-57).

• დიალექტებში *h* ხშირად იკარგება კომპოზიციური თხზვის შემთხვევაში: მაგ., სიტყვაში *ma'leš* – „არა უშავს“ (< *mā 'alayhī šay*^ა), *-eh-* კომპლექსი, რომელიც ხანდახან გრაფიკაში მაინც დასტურდება (معلش), ორთოეპიაში ჩავარდნილია და ჩანაცვლებულია მახვილიანი გრძელი ხმოვნით; სიტყვაში *mafiš* – „არაა“ (< *mā fihī šay*^ა) *h* ასევე ჩავარდნილია.

• სიტყვათშეკავშირების ლექსიკალიზაციის შემთხვევაში *h* ასევე შეიძლება დაიკარგოს; სალიტერატურო ენა:

mā lah^u – „რაც მისია, რაც მას ეკუთვნის“ > *mal*^m – „ქონება“;

way lah^u – „ვაი მას“ > *wayl*^m, *waylat*^m – „ვაი-ვიში“.

• დიალექტებში *h* რეგულარულად ვარდება ნაცვალსახელო სუფიქსთა შემადგენლობიდან: *farašitlon* < *farašat lahunna* – „გაუფინა მათ“; *-hā* მდებდ. სქ. ნაცვალსახელო სუფიქსი > *-ā* (სირია-ლიბანის მეტყველება). ასევე – მხ. რ. მამრ. სქ. ნაცვ. სუფიქსის შემადგენლობაში პაუზალურ ფორმებში: *kasaru* < *kasarahu* – „გატეხა ის“ და აღდგება გრძელი ხმოვნის სახით, თუ დაკარგავს ბოლოკიდური პოზიციას: *kasarūlu* – „გაუტეხა მას ის“ (ეგვიპტის მეტყველება).

საბოლოოდ, ვფიქრობ, გაანალიზებული მასალა შეიძლება შეფასდეს სტატიის დასაწყისში პოსტულირებული დებულების არგუმენტირებად, რომ *al-hā'* არაბულში არის თანხმოდანი, რომელიც ავლენს თვისებებს, რომლებსაც ამორფული შეიძლება ეწოდოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახვლედიანი, გ. 2010. *მასალები საენათმეცნიერო ლექსიკონისთვის*. თბილისი: არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ლევიაშვილი, აღ. 1977. *არაბული ენა*, I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Bellamy, James, A. 1985. “A New Reading of the Namārah Inscription”. *Journal of American Oriental Society*, Vol.105- N1: 31-51.

Blanc, H. 1970. “Dual and Pseudo-Dual in the Arabic Dialects”. *Language*, Vol. 46, N1: 42-57.

Ferguson, Ch. A. 1977. *Structural Studies in Arabic Linguistics*, Ch. A. *Ferguson Papers*, 1954-1994, ed. by R. Kirk and N. Haeri. Leiden, NY, Köln.

Hamūda, Fathī Buyūmī. 1985. *al-mawrid^u fī n-naḥwⁱ wa-ṣ-ṣarafⁱ*. al-juz^u 1-’awwal^u . al-qāhira^u.

Littman, E. 1914. *Semitic Inscriptions from the Southern Haurān*. Leiden: Brill.

Гранде, Б. М. 1963. *Курс арабской грамматики в сравнительно-историческом освещении*. Москва: Издательство Восточной литературы.

Церетели, К. Г. 1964. *Современный ассирийский язык*. Москва: Наука.